ეროვნული
ბიბლიოთეკა

15 ივნისი, 1918 წლისა. ფასი ნომრისა 80 კაპ.

წელიწადი პირველი.

ახალი სიტყვა

№ 7 ორკვირეული ჟურნალი. № 7.

შემდეგი № გამოვა 30 ივნისს.

მიიღება ხელის მოწერა სასულიერო მთავრობისაგან დამოუკიდებელ ორკვირულ ჟურნალ „ახალ სიტყვაზე.“ ჟურნალის მიზანია ჩვენის ეკლესიის ცხოვრების განახლება წმ. სახარების ნიადაგზე და ბრძოლა უსამართლობასთან და ფარისევლობასთან სასულიერო უწყებაში.

ხელის მოწერის ფასი ნახევარის წლით ცხრა მანეთია. ცალკე ნომერი ოთხი აბაზი.

რედაქცია სთხოვს სამრევლო საბჭოებს, შეგნებულ სასულიერო და საერო მორწმუნე პირთ დახმარება აღმოუჩინონ მას ჟურნალის გამოწერით და ერთ დროული შემოწირულებით სარედაქციო ფონდისათვის.

ფული მიიღება რედაქციის მოლარე დეკ. ანტონ თოთიბაძესთან: ტფილისი, სიონის ტაძრის ეზოში.

სარედაქციო მასალები და წერილები უნდა გამოიგზავნოს სარედაქციო კოლლეგიის რწმუნებულ მღ. ქრ. ციცქიშვილთან: ტფილისი, კაბგეროვის ქუჩა, № 47. რედაქცია იმავე ქუჩაზე: № 51

კანონ-პროექტი სასწავლებლებიდან სასულიერო პირთა განდევნის შესახებ.

ასეთი კანონ-პროექტი შეუმუშავებია ამიერ-კავკასიის ყოფილ სამოსწავლო კომისარიატს სეიმში შესატანად. ის კომისარიატიც და სეიმიც დაიშალა და კანონ-პროექტი განუხილავ დაუმტკიცებელი დარჩა, მაგრამ, შეიძლება, მას თავი არ დაანებონ და ახლა კი მისმა ავტორებმა საქართველოს ეროვნულ საბჭოში შეიტანონ. ეს მოსალოდნელია, რადგან ჩვენში საზოგადოდ ეშურებიან ის აკეთონ უფრო ჩქარა, რაც ქვეყანას ხვალვე ზიანს მოუტანს და აგვიანებენ იმის კეთებას, ან სულაც აზრად არ მოდისთ თავში, რაც ქვეყანას ამტკიცებს. ჩვენშიაც აღრმავებენ რევოლიუციას, როგორც რუსეთში, მხოლოდ ლენინმა უფრო ჩქარის ტემპით ჩააღრმავა რევოლიუცია და მალე ამ ჯურღმულში თვითონაც ჩავარდება, ალბად.

კანონ-პროექტით საღვთისჯულის სწავლება უნდა მოისპოს სასწავლებლებში სახაზინო ხარჯით, სასულიერო პირთ ნება აღარ უნდა ექნესთ სხვა საგნის (ისტორია, ქართული და სხვ.) შტატის მასწავლებლებად დარჩენ. საღვთო სჯულის სწავლების მოსპობა. დაკავშირებულია სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის საკითხთან. თუ ეს ჩამოშორება სარგებლობას მოუტანს ხალხს, რასაკვირველია, უნდა კიდეც მოხდეს, მაგრამ ჩვენ დიდად მავნებლად მიგვაჩნია ხალხისათვის ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან. ასეთი აქტით, დღევანდელს გარემოებაში მაინც, როდესაც არ ვიცით ხვალინდელი დილა რას მოგვიტანს, დიდს ზიანს მოუტანს ხალხის ზნეობასაც და ეროვნულ შეგნებასაც. ნურავის ნუ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ხალხის დიდ უმრავლესობისათვის რელიგიას არ ჰქონდეს ზნეობრივად გამაფაქიზებელი აზრი. შენ იძლება მოიპოვებოდეს თითო-ოროლი ისეთი ადამიანი, რომელნიც ურელიგიოთ ზნეობრივად სალი იყონ, მაგრამ უმრავლესობა ასეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურწმუნოთა, უეჭველად, ზნეობრივად სუსტი და, უფრო მეტად ზნედაცემულები არიან. ასეთთა აზრით, კაცი კაცისათვის ძაღლია (რომაელები მგელს ამბობდენ). ასეთი აზროვნებიდან გარყვნილებამდე და ყაჩაღობამდე და ყოველ იმ სისაძაგლემდე, რომლის მოწმებიც ვართ დღეს ჩვენ ყველანი, შორი მანძილი აღარ არის. გავიხსენოთ გადაშენების გზაზე დამდგარი საფრანგეთი, სადაც მასსის ურწმუნოებამ და უზნეობამ, სხვა არა იყოს რა, ხალხის გამრავლება ასე საშინლად შეაჩერა. ცოლ-ქმართ შვილის ყოლაც კი მეტ ბარგად მიაჩნიათ. .

გვეტყვიან, რა შუაშია აქ ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევებაო?—მართალია, ეკლესია მაინც იარსებებს, მაგრამ მას, შევიწროვებულს, იმდენს სარგებლობის მოტანა აღარ შეეძლება, როგორც მაშინ, როდესაც მისი დამხმარე სახელმწიფოა.

საქართველოს ეკლესიის შევიწროვება, გამოიწვევს და ხელს შეუწყობს არამც თუ რელიგიურ-ზნეობრივ დაქვეითებას ხალხში, არამედ ეროვნულ გადაგვარებასაც ამას გვეუბნება არამარტო განყენებული მოსაზრებანი, არამედ დღევანდელი სამგვლოვიარო დაჭრა და ჩამოგლეჯა საქართველოს სხეულის ნაწილებისა. ღმერთმა ჰქმნას, ჩვენი რესპუბლიკა განმტკიცებულიყოს სალ კლდესავით, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის, უგუნურობა და სიბეცე იქნებოდა ცდა საეკლესიო ორგანიზაციის დაშლისა. ვინ იცის რა როლს დააკისრებს ჩვენს ეკლესიას ახლო მომავალი?

ახლა ამაზე მეტს არას ვიტყვით, რადგანაც საღად მოაზროვნე ქართველისთვის ისედაც ცხადია. მხოლოდ არ არის ცხადი იმათთვის, ვისაც უნდა მთელი კაცობრიობა გაეკვირვოს იმით, რომ საქართველოს ისეთი ყოჩაღი მმართველები ჰყავს, რომ ერთის დაკვრით სწყვეტენ რთულ საკითხებს და უმაგალითო გამბედაობით მიჰყავთ ხალხი ბედნიერებისაკენ.

მაშ თუ სარწმუნოება საკეთილო ფაქტორია ხალხის ცხოვრებაში, სასწავლებლებშიაც უნდა ისწავლებოდეს საღვთო სჯული. მართალია, დღევანდელი პროგრამმები და მეთოდი ამ საგნის სწავ. ყოვლად დასაგმობია, მაგრამ მათი გაუმჯობესება საჭიროა და აუცილებელია. დღეს საღვთო სჯულის სწავლება უნდა შემოღებულიყო ქართულად, და სწორედ ახლა აღიძრა საკითხი მის მოსპობაზე. წამწყმიდა წამხედურებამაო. ჩვენში ანბანი თუ ისწავლა კაცმა, მაშინვე ღმერთს გმობს. განათლებული ქვეყნებში, იშვიათ გამონაკლის გარდა, ჩვენებურად რომ მსჯელობდნენ იქ, სარწმუნოება სულ აღარ იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ არის. იქ განათლებულ ხალხს, ძალიან ხშირად მეცნიერ-ფილოსოფოსებსაც, არამც თუ არ ეთაკილებათ, არამედ დიდ ღირსებად და სულიერ კმაყოფილებად მიაჩნიათ თვისი რელიგიური რწმენანი.

რაც შეეხება კანონ პროექტის იმ დებულებას, რომ სასულიერო პირთ არ მიეცეს ნება სხვა საგნის სწავლებისა მთავრობის სასწავლებლებში, ეს ხომ სრული, პირდაპირ სექტანტური მიუკარებლობაა. არიან ისეთი მღვდელნი, რომელთაც აქვთ სათანადო განათლება და კარგადაც ა წავლიან საგნებს ნუ თუ ასეთი მღვდელი მაშინ ივარგებს სხვა საგნის მასწავლებლ დ, თუ გაიძრობს ანაფორას, ჩაიცვამს პიჯაკს და ისე მოევლინება ახალ მთავრობას? ეს არის სამართალი? ამით გინდათ ააშენოთ საქართველო? ჩვენის ფიქრით მასწავლებლად შეიძლება მომზადებული ანაფორიანი სჯობდეს მოუმზადებელ ერის კაცს. თუ სასულიერონ პირნი დემოკრატიზმისათვის მაენებელნი არიან ხელოვნებით, მაშინ აღარ ივარგებენ მასწავლებლებად აღარც ვაჭართა, არც თავად-აზნაურთა და შეძლებულ ხლეხთა შვილები. ნუ დაგავიწყდებათ, ბატონებო, აბუჩად აგდებული სახარების სიტყვები:

„სამკალნი ფრიად ჰრს მხოლოდ მუშაკნი მცირედ“.

რესპუბლიკა და ჩვენი ეკლესია.

III*)

„უწმიდეს“ სინოდის უღელ ქვეშ არც თვით რუსეთის ეკლესიას ედგა სახარბიელო დღე, მაგრამ მასთან შედარებით ჩვენი ეკლესია ხომ სრულებით იმ უპატრონო მიცვალებულს წარმოადგენდა, რომელსაც დიდ საავადმყოფოს ანატომიურ განყოფილებაში შეუბრალებლად ჩიჩქნიან და ლუკმა-ლუკმად სჭრიან, რომ მკვდრის სნეულებათა შესწავლით ცოცხლებისთვის სასარგებლო სამე-

---

*) „ახ. სიტყვა“ № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნიერო ჭეშმარიტება აღმოაჩინონ, ან კიდევ ძვლებს აცლიან და მავთულით ერთმანეთზე აკოწიწებენ, რომ ამნაირად შემდგარ ჩონჩხზედ თვალნათლად შეასწავლონ ადამიანის სხეული მომავალ მკურნალებსა. გარდა უფლებათა აყრისა, შინაგან შეულლის ხელოვნურად შექმნისა, ცოცხალ ძალების ჩაშრეტის და უთვალავ თვალმაქცობა საძაგლობისა, რაც კი შეეძლო ჩაედინათ ეგნატიევა-რასპუტინების აგენტებსა, პირველად ქართულ ეკლესიაში და ჩვენს თავზედ ხდებოდა ყოველნაირი საეჭვო აპერაცია და ახალ ზომების გამოცდა. თუ ეს ექსპერტიზა არ გამოდგებოდა, ამითი თვით რუსეთი არას აგებდა. პირიქით, ორს ერთი მ[illegible]ორეზე უკეთეს მიზანს აღწევდა—სათუო საშვალების გამოცდას და იმავე საშვალებით „მოუსკენარ“ ქართულ ეკლესიის ხელოვნურად დაქვეითებას.

სწორედ ამ მიზნისათვის სასურველი იყო სამღვდელოების და სამწყსოს შუა გადაუღალი უფსკრული, საჭირო იყო ერის ურჩი, მთავრობის მორჩილი და თავისდათავად შეუგნებელი, განათლებას მოკლებული სამღვდელოება,—და მთელი რიგი ყოფილ ექსარხოსებისა გამოუკლებლივ ამ გზას ადგნენ. ამათში ალექსი პირველი ყველაზე ნაკლებ ჭკვიანი და, ალბად ამიტომ, ყველაზე უფრო გულახდილი იყო. და ის ხშირად საჭიროდ ამბობდა: ქართველ მღვდლისთვის ისიც საკმარისია, თუ ჯამაგირის მიღებაზე ხელის მოწერას შესძლებსო.

და მართლაც, უვიცთ და უნიჭოთ ფართო გზა ჰქონდათ გაშლილი სამღვდელოების წრეში. ნასწავლთ და ნიჭიერთ ან წინდაწინ გზას უხშობდენ რომ ს გულიდან ამოეგლიჯათ ყოველი სურვილი საკურთხეველის სამსახურისა, ან მრავალ ნაცად ზომებით ისე „მოაშინაურებდნენ“, რომ საერთო მიმდინარეობისათვის „საშიშნი“ არ ყოფილიყვნენ. დასაწყის კლასებიდან გამოგდებულნი, ყოფილი პოლიციელი, უვარგისი მოხელე, მონასტრის ნადიაკვნარი, გაკოტრებული წვრილი ვაჭარი —აი ვის ეძლეოდა იმ დროებით მღვდლობის ადგილი. საზლაპრო და ხშირად დაუჯერებელიცაა რუსეთის სამღვდელოების გაუნათლებლობა, მაგრამ იქ სამწყსოც უმეტეს ნაწილად განათლების პირველ საფეხურზედ, ნახევრად ველურ მდგომარეობაშია. ჩვენი ერი კი რუსის ხალხთან შედარებით მთელ საუკუნოებით წინა სდგას,—და თუ ამ განსხვავებას ვიქონიებთ სახეში, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი სამღვდელოება, რუსის სამღვდელოებასთან შედარებით დაწინაურებული, თვის სამწყოსთან შედარებით დაბალ განათლებისა და ჩამორჩენილია. ჩვენში ძნელად იპოვით სოფელსა, სადაც ერთი მაინც არ იყოს უმაღლესი სწავლა-მიღებული, მაგრამ უმაღლეს განათლების სამღვდელონი ჩვენში სულ მარცხენა ხელის თითებზე ჩამოითვლებიან და ისინიც... სულ სხვა საქმეებს უფრო ანდომემენ დროსა, ვიდრე ეკლესიას და სამწყსოსა...

მაგრამ ეს ჩამორჩენილობა შემთხვევითი როდია. მთელი მექანიზმი გაძარცულ და გადაგვარებულ ეკლესიისა ისე იყო მომართული, რომ იმ მათხოვრისებრ მცირე სასყიდლით, რასაც მღვდლობა იძლეოდა, სწავლა მიღებულნი იშვიათად ბედავდნენ ჯვარანაფორის ტვირთვას, მაგრამ ესევე სასყიდელი საკმარისიც იყო და სანატრელიც იმისთვის, ვინც სხვა არაფერში ვარგოდა და ამიტომ სიამოვნებით მიდიოდა მღვდლადა.

ჩვენის ეკლესიის განთავისუფლებიდან წლინახევრის გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ არსებული და ამნაირი სამღვდელოება კიდევ შეეგუება ეკლესიას, თუ უკანასკნელი ისევ სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ, ისევ უტყვი და სულმლაფავი დარჩა. მაგრამ სხვა რესპუბლიკების ისტორია გვეუბნება, რომ ამ განვითარების და სულიერ განწყობილების სამღვდელოება პირველ დღიდანვე იწყებს არარაობასა და არ-არსებობისაკენ დენას, როცა ეკლესია სახელმწიფოს ჩამოშორდება. ისტორიულად კვლად გაიშხუილებს ჰაერში ის შოლტი, რომლითაც ჩვენმა მაცხოვარმა მოვაჭრენი განდევნა ტაძრიდან. მრავალი ჩვენგანი ნება-უნებლივ დაუბრუნდება ძველს ხელობას თუ სხვაგან მოსძებნის თავისთვის უფრო შესაფერის საქმეს. მრავალნი, დღეს მაძღარნი და მოპარპაშენი, გულის მწარე ტკივილით მოიგონებენ საამო წარსულს,—და, პირიქით, მრავალნი, დღეს უკუგდებულნი და უჩინარნი, წინ წაიწევენ და შემოქმედებითის ხელებით დაატრიალებენ წმიდა საქმეს.

სწორედ მაშინ მოხდება ეკლესიაში და ჩვენს წრეში განახლება და ყოველ ღ რებულებათა ხელმეორედ შეფასება—და იქნებიან „პირველნი უკანასკნელ და უკანასკნელნი პირველ“. ეს იქნება ნამდვილი ლოგიური გაგრძელება 1917 წლის 12 მარტის აქტისა. მღვდელი, როგორც ქურუმი და მოხელე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიას ჩაბარდება და მის ადგილს დაიჭერს მოწოდებით მწყემსი, გულით მოძღვარი, ცოდნა-განათლებით აღჭურვილი მასწავლებელი.

რასაკვირველია, ასეთი მეთამორფოზა უცებ და ერთის ხელის გაქნევით არ მოხდება. პირველი შედეგი იქნება რიცხვობითი შემცირება სამღვდელოებისა. მღვდლები ისე ყოველ ნაბიჯზედ არ შეგვხვდებიან, როგორც დღეს არის. ბევრი სამრევლოები შეიძლება ხანგრძლივ დარჩნენ მეზობელ მღვდლების ამარა. მაგრამ ეს არაფერ საშიშს არ წარმოადგენს. ის ურჩევნია საქართველოს ხუთიოდე ზეგარდმო ცეცხლით აღგზნებული იოანე, სალიკლდესავით მტკიცე პეტრე და უშრეტ ენერგიით მჩქეფარე პავლენი ჰყავდეს, ვიდრე ათასობით ჩვენისთანა უფერულ-უსიცოცხლონი.

განვლენ დრონი. დღეს ზნეობრივად აწეწილი და პარტიებად დაქსაქსული ერი გონს მოვა—და ჩვენ შიაც, როგორც ყველგან და ყოველთვის ასეთ მდგომარეობის შემდეგ შეიგნებენ ნამდვილ სამღვდელოების დიად ფასსა და მნიშვნელობას. თვით ხალხის, თვით სამწყსოს შეგნებით საჭირო გახდება, რომ მწყემსი მხოლოდ მწყემსი უნდა იყოს და მაშასადამე, თავისუფალი ყოველნაირ სხვა ზრუნვისაგან და ქონებრივად უზრუნველყოფილი.

და აი აქ, მხოლოდ მაშინ, მაგრამ მკვიდრად, შეგნებულად და თვით სამღვდელოების ცდა-თხოვნის გარეშე დაისმევა საკითხი სამღვდელოების ქონებრივ უზრუნველყოფის შესახებ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში ჩვენი ნორჩი სახელმწიფო პირველ ხანებში მაინც სხვა მოწინავე სახელმწიფოებს მიჰბაძავს. ამისთვის საჭიროდ მიგვაჩნია გავიცნოთ, როგორ და რომელ წყაროებიდან არის უზრუნველყოფილი სამღვდელოება საზღვარ გარეთ,—და ამ ცნობებს ჩვენ შემდეგს წერილში მოვიყვანთ.

მღვდ. ილ. შუბლაძე.

მცირე შენიშვნა.

მეტის მეტად საწყუხარო ამბები გვესმის ჩვენი უმაღლეს სასულიერო დაწესებულების შესახებ. პირველად თუ საზოგადოება არ აქცევდა ამას ჯეროვან ყურადღებას, ეს იმისთვის, რომ იმედი ჰქონდა მოკლე ხანში მოისპობოდა ის საზიანო ურთიერთობა რომელიც დამყარდა ერთის მხრით კათოლიკოსისა და მეორეს მხრით საკათოლიკოსო საბჭოს წევრთა შორის.

დასმულ კითხვების განხილვის დროს არავის არ აქვს ნება იხელმძღვანელოს თავ-ჯდომარეობით და პირადი სურვილებით. ყველამ სიმართლის წინაშე უნდა მოთხაროს თავი.

ვფიქრობდით, უთანხმოება, აშენებული თავმოყვარეობაზე, ადგილს მალე დაუთმობდა ერთსულოვანობას. მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს უთანხმოება რაც დრო გადის უფრო და უფრო მწვავდება და ძლიერდება.

ვინ იტყვის, რომელიმე საკითხის გარჩევის დროს სხვა და სხვა აზრის გამოთქმა საჭირო არ იყოს. „ერთი ჭკუა კარგია, მაგრამ ორი უკეთესიაო", ნათქვამია. ამისათვის არის შემოღებული კოლლეგიური მმართველობები, კრებები. ერთი კაცი როგორი ნიჭიერიც უნდა იყოს, მაინც ვერ შესძლებს სხვების დაუკითხავად და დაუხმარებლად რიგზე აწარმოვოს საქმე. ერთმა რომ წარმოსთქვას რაიმე აზრი და სხვებმა ხმა ამოუღებლივ მიიღონ ის, რომ არავის ვაწყენინოთო, რა გამოვა? ყველას უნდა ჰქონდეს უფლება თავისუფლად, უშიშრად გამოსთქვას თვისი აზრი ამა თუ იმ საგნის განხილვის დროს. ასეთი წესრიგი საჭიროა სუფევდეს არამც თუ მარტო პარლამენტში და საზოგადოთ სამოქალაქო დაწესებულებებში, როგორც ზოგიერთს ჰგონია, არამედ საეკლესიოშიაც. ვინ არ იცის მაცხოვრის მოწაფეები როგორ ბჭობდენ, ერთმანეთის წინააღმდეგ გამოსთქვამდენ ამა თუ იმ საწმუნოებრივ და ზნეობრივ კითხვის განმარტების დროს თავიანთ აზრებს? ვინ არ იცის მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებებზე წმ. მამები როგორ გამწვავებულად არჩევდნენ ყოველ საკითხს, მაგრამ ეს მათ ღირსებას სრულებითაც არ ჩრდილავდა, მათ წინააღმდეგ საზოგადოებას არა უთქვამს რა. ამ კრებების სარგებლობას ყველანი აღიარებდენ. მაგრამ, როდესაც კრებებზე მსჯელობა მიიღებს კინკლაობის ხასიათს, როდესაც მათი მონაწილე, მით უმეტეს ხელმძღვანელი, ცდილობს თვისი აზრი გაატაროს, თუნდაც იგი უსაფუძვლო იყოს, ეს დიდათ სამწუხაროა და საზოგადოებისათვის მავნებელია. სიმართლე, სიმართლე და სიიართლე, რაც შეიძლება ყველგან და ყოველთვის, თუ უნდა საზოგადოებას იცოცხლოს. თუ კი სიყალბე, ტყუილი იფარფაშებს, თუ კი მართალნი დევნულნი იქნებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაცდურნი, ბიწიერნი თავაღებულნი ივლიან და მათ სიტყვას გავლენა ექნება, რაღა გარჩევა იქნება ჩვენი განთავასუფლებული ეკლესიის და ყოფილი სინოდალური მართვა-გამგეობათა შორის? ამბობენ რაც ახლა თვითნებობა არის საკათოლიკოსო საბჭოში, თავის დღეში ყოფილ სინოდალურ კანტორის დროს არ ყოფილაო. ბატონობა მაშინ კი არა, ახლა არისო. ამისათვის ზოგიერთნი საბჭოდგან გამოსვლასაც აპირობენო. თუ ეს მართალია, ვაი ჩვენი ბრალი! სჩანს ჩვენი იმედები გაცრუვრნენ. რისთვის გვიხაროდა ავტოკეფალია? რისთვის ვყვიროდით „მონობის ჯაჭვები დავამსხვრიეთო“?

ჭეშმარიტების, სიმართლის ძიება აი რისთვის ვეტრფიალებოდით ჩვენი ეკლესიის განთავისუფლებას და რასაც უნდა შეუწყონ ხელი ჩვენი უზენაეს სასულიერო დაწესებულების მესვეურებმა. პირად ინიციატივას ადგილი არ უნდა ჰქონდეს არსად და ნამეტურ დასახელებულ მმართველობაში.

მორწმუნე ქართველი.

1918 წ.
ივნის. 8.

მარტის ავტოკეფალისტები.

ყველას მოეხსენებათ რუსეთში, და უფრო კიდევ ჩვენში, 1917 წლის თებერვლის შემდეგ ბევრმა ვაჟბატონმა, ნაძირალებად წოდებულებმა, თავის თავი გამოაცხადეს სოციალისტებად, რომ რაიმე თბილი ადგილი ეშოვნათ სოციალისტურ მთავრობისაგან. ამ ჯურის სოციალისტებს ჰქვიანთ შესაფერისი სახელი: „თებერვლის სოციალისტები“.

ამის მსგავსი მოხდა საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაშიაც ბევრმა ისეთმა პირმა, რომელნიც ძრს უთხრიდენ საქართველოს ეკლესიისა და ერის საქმეს, ან უკეთეს შემთხვევაში გულგრილად უცქეროდენ მათ დამცირებას, 1917 წლის 12 მარტს აქეთ გამოაცხადეს თავისი თავი საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის მოღვაწედ, რომ ამით შეგუებოდენ ახალ გარემოებას. ამისათვის ჩვენ ასეთ ჯიშის ავტოკეფალისტებს უნდა მივაკრათ შუბლზე დაღი წარწერით: „მარტის ავტოკეფალისტები“.

ასეთ პირთა ჯგუფს ვაკუთვნეთ „ახალ სიტყვის“ №№-ში მიტროპოლიტი ანტონი, და მასვე ეკუთვნიან ყველა მისნი მეგობარნიც. ამ ჯგუფზე ითქმის ანდაზა: „სადაც ერდო მაღალია მეც იმისი მაყარი ვარ“. ჩვენ ნეთ ეგზარხოსებსა, ნამესტნიკებსა და მათ ცოლებს ვეყმობოდით და ახლა კი განახლებულ ეკლესიასა და სამშობლოსა, და თუ დაგვჭირდა, ისევ იმ ძველ მეგობრებს დავუბრუნდებითო,—აი მათი ცხოვრების ფილოსოფია.

ჩვენ პირადობა არ გვაინტერესებს, მაგრამ ყოველი საქმე ფუჭდება, ან კეთდება ვინმეს მონაწილეობით, ამიტომ პირადობის ხსენებაც ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია. განსაკუთრებით საჭიროა ისეთის პიროვნების შესახებ, რომელსაც აქვს ნიჭი და ხერხი შეეგუოს (დარვინის თეორია) როგორც ძველს, ისე ახალ რეჟიმს, მიილტვის პირველობისაკენ, საქმის სათავისაკენ. და ჩვენთვის ცხადი და გამორკვეულია, თუ წყალი სათავეში მოწამლულია, ამისთანა წყლის დალევა ფრიად მავნებელია.

„ახალ სიტყვის“ მ ექვსე ნომერში დასტამბულ ანტონ მიტროპოლიტის წერილში იგი თავისს თავს უწოდებს ავტოკეფალის მოღვაწედ, მაგრამ ამაში ვერ დავეთანხმებით მას. მართალია, ანტონ მიტროპოლიტი საქ. ეკლესიაში ერთ-ერთ მმართველობის წევრი იყო, მაგრამ იმ ხანად სხვა და სხვა მოსაზრებით ხელსა. ყრელი არ იყო საერთო საქმისათვის გამოგზავნილ-ულიყო მისნი „საქმენი საგმირონი“, თუმცა თვით დროებ. მმართველობის ერთ-ერთ სხდომაზე ერთმა ადამიანმა, დღეს მისმა გულითადმა მეგობარმა, უწოდა მას რასპუტინის „სტავლენნიკი“.

თუ როგორი ბურჯი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა მიტროპოლიტი ანტონი 12 მარტამდის, მოვიყვანთ ამის საბუთებს, რომელნიც გამოქვეყნებულიქმნენ „ახ. სიტყვის“ თანამშრომლებისაგან იმაზე ბევრად წინ, სანამ მიტ. ანტონი გარეკოლიუციონერდებოდა. მაგრამ ამაზე შემდეგ.

ხოხროიანი.

სმენა ხომ არ მღალატობს?

Amicu Plata, sad madis amica veritas.

კილოიანი ქართული კითხვა-გალობა ღვთის მსახურე ის ღირსება და სამკაულია. თუმცა მოიპოვებიან კარგი მკითხველ-მგალობელნი სასულიერო პირნი დღეს, მაგრამ იშვიათად. ძველ საქართველოში კი იყვენ, თურმე, საუცხოოდ დახელოვნებულნი ამ მხრივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმა პატივცემულმა, მხცოვანმა სასულიერო პირმა გადმომცა შემდეგი ძველი ამბავი. საქართველოს კათ. მოახსენეს რომ გენათელს ჰყავს ისეთი წიგნის მკითხველი, რომ სულ ზეპირად შეუძლია სთქვას მწუხრის, ცისკრის და სხვა წასაკითხავებიო. კათოლიკოსს არ სჯეროდა. ერთხელ გენათელი თბილისში იყო თავისს საქებურის მკითხველის თანხლებით. მკითხველი მიიწვიეს საკათოლიკოსო ტაძარში ცისკარზე, დააყენეს საწიგნეზელზე და უბრძანეს ზეპირად უნდა მოეხმაო ცისკარზე მღვდელსაო. წიგნის მკითხველმაც ყოველივე საკითხავ-საგალობლები მართლაც ზეპირათ სთქვა თავ თავის დროზე (წიგნები დაუმალეს წინდაწინვე). დამსწრე კათოლიკოსმა ძალიან შეაქო ეს იშვიათი საეკლესიო წიგნის მკითხველი. ასე ყოფილა ძველად. დღეს კი არც კითხვა და არც გალობა არ სრულდება ხეირიანად ყველასაგან, მაგრამ იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ საქართველოს ეკლესიის თავს, კათოლიკოსს, სახარებისა და სხვა საეკლესიო წიგნების კითხვა არ ეცოდინებოდა.

მირონის კურთხევას დავესწარი წელს დიდ ხუთშაბათს. მწირველი ბრძანდებოდა კათოლიკოსიც. თავისს დროზე მოართვეს წიგნი რომ წაეკითხა შესაფერი, მირონის საკურთხი ლოცვები. შენს მტერს, რაც მე სირცხვილში ჩავვარდი. ჩემს ყურებს არ ვუჯეროდი, როცა ვხედავდი და მესმოდა, თუ როგორ ბორძიკობდა ყოველ სიტყვაზე პატრიარქ-კათოლიკოსი, როგორ ჩერდებოდა სიტყვების ამოსაკითხავად და ბოლოს მრავალს მათგანს მაინც გადამახინჯებულ-გადასხვაფერებულად ამბობდა. როგორც ვატყობდი, თანამწირველნი სასულიერო პირნიც ჩემსავით იტანჯებოდენ ამ უსიამოვნო სანახაობით. ამ ამბავმა ფრიად გამაოცა და მწარეთაც დამაღონა, განა მარტო დიაკონსა და მღვდელს მოეთხოვება კარგი კითხვა საეკლესიო წიგნებისა და მათს უფროსებს კი არა? თუ სასულიერო პირს არ მოეპოვება ნიჭი ორი სიტყვა გადაბას ერთმანეთზე ქადაგების სათქმელად, წიგნის კითხვა მაინც უნდა ეხერხებოდეს

ბოდიშს ვიხდი მკითხველების წინაშე, მაგრამ სიმართლის თქმისთვის, მგონია, ვერავინ დამზრახავს. და თუ ჩემი ნათქვამი ტყუილია, გამოაცხადონ მათ, ვინც კირიონ კათოლიკოსთან თანამსახურებენ ხოლმე. მე კი აღნიშნულ ამბავის გარდა რამდენჯერმე დავესწარი კათოლიკოს პატრიარქის წირვა-ლოცვას და იგივე ნაკლულევანება ვნახე. დედამიწის ზურგზე არ უნდა მოიპოვებოდეს კიდევ პატრიარქი, რომ სახარებისა და ლოცვების წაკითხვა არ იცოდეს. სმენა ხომ არ მღალატობს?..

ერ. ხერხეულიძე.

კირიონ კათოლიკოსის წირვა და სიონის წაბილწვა.

მეტად აღმაშფოთებელი ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩვენ მკითხველებს. კათოლიკოს კირიონის მეოხებით სიონის ტაძარი წაიბილწა. „ახალ სიტყვის“ მეხუთე ნომერში ბ. ბაბასინი აცნობებდა საზოგადოებას, რომ კირიონმა შემოირტყა გარს ულირსი და ეკლესიის სიწმიდის შემბღალველი პირებიო. ერთ ასეთ პირად ნაჩვენები იყო ვინმე მღვდელი პაჩიკოვი, რომელიც ლოთობისა და სხვა მრავალ ულირსებისათვის 25 წელიწადია გადაყენებულ იყო სასულიერო მთავრობისაგან და უადგილოდ დაეხეტებოდა ტფილისში. იმის მაგივრად, რომ ჯმნულ ყოფილიყო კათოლიკოსი ასეთ პირთაგან, მან, სიმართლის მთქმელთა გულის მოსაკლავად, აიღო და 13 ივნისს (ახ. სტ.), დღით ამაღლებას, დააჯილდოვა სიონში წირვის დროს მღ. პაჩიკოვი ოქროს ჯვრით (მოოქვრილი). რისათვის?—პაჩიკოვს ეკლესია არ აბარია და არაფერი, ნუ თუ სამიკიტნოებში სიმრულისათვის? სამარცხვინოდ დაწყებული საქმე წარმოუდგენელად სამარცხვინოდ გათავდა. ლორმუცელას, სიონში შესვლის და წირვაზე მიღებულ ზიარების ულირსს პაჩიკოვს დაემართა იქვე ტრაპეზთან წირვის დროს, მწირველ თავის მწყალობელ კათოლიკოსის გვერდით, საშინელება... იმის ფეხებთან დადგა ადამიანის სიმყრალის გუბე... შემდეგ საკურთხევლიდან იქვე მარჯვნივ მყოფ სალაროში შევარდნილმა ულირსმა მღვდელმა სულ ერთიან მოსვარა და წაბილწა ტაძარი. მწირველთა კრებულის, მგალობელთა გუნდის და დამსწრე მლოცველთა აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, მგალობლებმა კათოლიკოსისადმი პროტესტის ნიშნად ტაძრიდან გამოსვლისას „ისპოდილა“ აღარ უგალობეს მას.

დრო არის, კათოლიკოსის თვითნებობას და თავგასულობას ბოლო მოეღოს. მან სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კმარისად შეგვარცხვინა ჩვენ მოელს ქვეყანაზე თავის ცრუმეცნიერულის გამოკვლევით: „Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви за XIX столѣтіе. Тифлисъ 1901 г.“, რომელშიდაც კათოლიკოსი კირიონი ასეთ მარგალიტებს აფრქვევს რუსეთის სინოდის სახოტბოდ: „საქართველოს ეკლესია კეთილდღეობაშია, ხალხის სარწმუნოებრივ—ზნეობრივი სხვა და სხვა მხარეები საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან ასი წლის განმავლობაში შესამჩნევად ამაღლდა, გაუმჯობესდა და თანდა ანაობით მშვენდება სულ ახალ ახალი საეკლესიოთა“ (გვ. 16).

ეს ქვეყნისთვის მოღალატური სიტყვები მიახალეს სინოდში კირიონს პირ'ში 1906 წელში და ამანაც წარბ შეუხრელად მიუგო: „საიუბილეიოდ გამოვეცი რუსეთთან შეერთებიდან ასი წლის განვლისა გამო ის წიგნი და შიგ რაც წერია, ერთი სიტყვაც არ არის მართალია“. ამას არ გვაკმარა კირიონმა. დღეს ხომ უფრო აუტანელ სირცხვილში გვაგდებს. ასეთი კაცი საქართველოს ეკლესიას დალუპვის მეტს ვერას მოუტანს, და კიდევაც ჰდუპავს მას. კაცმა ჰმალა ჭირი, მაგრამ ჭირმა კი თავი არ დამალაო. ჩვენ ვგმობთ კათოლიკოსის მოქმედებას, მისგან დაცინვას საქართველოს ეკლესიაზე (სამღვდელოებასა და მორწმუნეებზე). საკათოლიკოსო საბჭოს კი დღესვე უნდა აუკრძალოს კათოლიკოსს სხვის ეპარქიის მღვდლებს თავის ჟინიანობით ურიგოს ჯილდოები. ვისაც ეს ჯილდოები უკანონოდ მიუღია მისგან, ყველას ჩამოერთვას და მათ საეკლესიო კანონების მიხედვით დაედოს სასჯელი. ამას გარდა, 13 ივნისს სიონში მომხდარ თავმოსაჭრელ ამბავზე მოხდეს სასტიკი გამოძიება, რაზედაც შესდგეს ოქმი მომავალ საეკლესიო კრებაზე წარსადგენად, რომ შესაფერი მსჯავრი დაედოს მას, ვისი მეოხებითაც ასე უმაგალითოდ შეიბღალა პაჩიკოვისაგან ქართველთა სიწმიდე—ჩვენი ქალაქი სიონი.

სადღა გამოვყოთ თავი? ამაზე მეტი გათახსირება უნახავს კიდევ ჩვენს ეკლესიას? ვისაც ცოტათი მაინც შეგტკივათ გული საქართველოს ეკლესიისათვის, ამოიღეთ ხმა! მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, მორწმუნენო გვანუგეშეთ, გვიშველეთ!

ჯაჭვაძე.

ჩემი პირველი ჯილდო.

(წარსულის მოგონებიდან).

190—წელს ვმსახურებდ კ-ს სამრევლობი. ამავე წლის ზაფხულს მახლობელ დაბაში, ეპისარხოსმა ალექსიმ აკურთხა ეკლესია და რადგანაც ჩემი სამრევლო მარჯვედ იყო გზაზედ, რომლითაც უნდა ემგზავრა არა ნეტარ—სახსენებულს, სურვილისამებრ კეთილ-მოწესისა, ინახულა ჩემი ეკლესიაც. არქიერის ჩვეულებრივი შეხვედრისა და მისალმების შემდეგ მიწყალობეს პირველი ჯილდო (საგვერდული). რომ გათავდა ეს საზეიმო სტუმრიანობა—მომდის კეთილ-მოწესისაგან შემდეგი შინაარსის წერილი: „მამაო—ე! გილოცავ ახალ მიღებულ ჯილდოს, სალხინოდ გახმაროს და გისურვებ სხვა ჯილდოებიც თავის დროზე მიგეღოს. საქმე აი რაშია: დაბიდგან ჩემამდე ეპისარხოსის მგზავრობაზედ მეეტლეებს მივეცი ორმოცი მანეთი, იმედია ამ ხარჯს, თუ სულ არა, ნახევარს მაინც იკისრებ. შეგიძლია ეკლესიიდგან მომცე. ბლაღ. მღვდელი ე. ე. 190—წ. მკათათვის 3.“ თქვენს ბეერს, რომ ასეთმა წერილმა მე თავს ბრუ დამახვია!—ეკლესიას ნივთიერად ნატისუსალი ასდიოდა, პირადად—მცირე მრევლის და ოჯახით დატვირთულს რა მქონდა—რა უნდა გამეგზავნა?! თვალის დასანახავად შემზიზღდა საგვერდული და გადავსწყვიტე არც მეხმარა და ნამსახურებითი სიაშიაც არ შემეტანა. ასეც მოვიქეცი. . მაგრამ წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ მ. „ბლაღოჩინმა“ ნამსახურებითი სიაში მომცა შენიშვნა რუსულად—„რად არ შეიტანეო?—მომავალში თუ არ შეიტან მთავრობასთან დაგასმენო“! რალას ვიზამდი—თუმცა სიაში შევიტანე, ჩემი გაუბედურების ამბავი, მაგრამ ჯილდო არ მიხმარია. მკითხველო! აღწერილი შეთხზული არ გეგონოს—ფაქტია. აი, როგორ და რისთვის გვაჯილდოებდნენ წარსულში!

მესხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა.

7 ამ თვეს ხარფუხის წმ. ნიკოლოზის ეკლ. სამრევლო საბჭომ დაადგინა: მიეცეს თვიურად ჟურნალი „ახალი სიტყვის“ რედაქციას სამი თუმანი ეკლესიიდგან და მიიღოს საბჭომ ყოველივე ზომა, რომ ეს ჟურნალი გავრცელდეს ხარფუხის სამწყსოში.

——

300 ათასი მ. გატაცება. 30 მაისს ნაშუადღევის 2 საათზე შეიარაღებულმა პირებმა თავისუფლად და სულ ადვილად გაიტაცეს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტიდან 300.000 მანეთი. მცარცველები მიიმალენ. როგორც ამბობენ, ციხე შიგნიდგან არის გატეხილიო. ჩვენის აზრით პასუხსაგებ ადგილებზე უნდა ინიშნებოდენ საიმედო პირნი, ‖ იუხედავად მათის პარტიულის დაღისა („იარლიკისა“). დღეს თბილ ადგილების მისაღებად ათასი არამზადა აცხადებს თავისს თავს ამა, თუ იმ „პარტიის კაცად“...

——

სიტყვების არევა. „ახალ სიტყვის“ მესამე და მეოთხე ნომერში იყო მოხსენებული, რომ საკათოლიკოსო საბჭოში დასახელებული იყო გამგედ ალექსი დავიდოვი, რომელიც მსახურებს დღეს ეგრედ წოდებულ რუსთა კავკასიის სინოდალურ კანტორაში. ზოგიერთებს გაუგებრობით ხსენებულ ალექსი დავიდოვის უარყოფითი დახასიათება მიუკუთვნებია საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობის ყოფილ და ახლა კი ტფილისის სამიტროპოლიტო საბჭოს მდივნად მყოფ დავით (დათიკო) დავითაშვილისათვის. რედაქცია მიაქცევს თავისს მკითხველთა ყურადღებას ამ შეცდომას.

——

ეროვნულ დროშის უგულებელს ყოფა. 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, სასახლის თავზე აღმაროულ იქნა ეროვნული, ქართული დროშა, რაიცა სრულიად ბუნებრივი იყო, მაგრამ იმავე დღეს საქართ. მთავრობის განკარგულებით ჩამოხსნილ იქმნა და მისს მაგიერ აღმართეს რუსულ წაწერიანი სარევოლიუციო დროშა. გაზ. „ერთობის“ 29 მაისის №-ში ამ ამბის შესახებ ნათქვამია, ქართული ეროვნული დროშა აღმართეს ქართველმა შავრაზმელებმა და კიდეც ჩამოვხსენითო. სად გაგონილა მთავრობის მიერ თავის ეროვნული დროშისადმი ასეთი მოქცევა?

——

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მე-6 №-ში შეცდომით იყო მოხსენებული, რომ კათალიკოსი მწირველი იყო დასახელებულ თანამწირველებითურთ ანჩის ხატის ტაძარში; იმ დღეს წირვა ყოფილა თვით კათოლიკოსის კარის ეკლესიაში.

——

სულთანის მოხსენიება. ოსმალეთისა საქართველოს შორის საზავო ხელშეკრულების მე-6 მუხლის ძალით საქართველოს საზღვრებში მუსულმანებს ნება აქვთ მეჩეთებში მოიხსენიონ ლოცვაზე ოსმალეთის სულთანი. მუსულმანებს ნება აქვთ სასწავლებლებში საღვთო სჯული ისწავლონ. იმავე ზავის პირობაში ბათუმ-ახალციხე-ჯავაქეთის ქრისტიან ქართველებზე არაფერია ნათქვამი. რათა ნეტავი?

——

მოსკოვის პატრიარქის და მთავრობის მოხსენიება. ტფილისის რუსთა ეკლესიებში იხსენიებენ „დიდ უფალს სრულიად რუსეთის უწმიდეს პატრიარქს ტიხონს და სრულიად რუსეთის ხელმწიფეს (держав).

ჩვენ ვამბობთ, ეს არაფერი, ეს არაფერიო... ასე თუ ვიარეთ ჩვენი დამოუკ. დებლობის ხსენებაც კი გაქრება, ვითარცა კვამლი.

——

ხარფუხის სამრევლო საბჭოის უმწეოთათვის დამხმარებელმა კასამ ამ თვეში მისცა პურის სასყიდლათ: 1) ისაკ გურგენიძის ობლებო—15 მ., 2) გიორგი კოვლელაშვილისას —10 მ., 3) მათე ბერიანიძისას—10 მ., 4) ალექსანდრე კეშიშოვისას—10 მ., 5) ქვრივს მაგდანე ლელაშვილს—10 მ., 6) ქვრივს ტასო აივაზოვს—10 მ., 7) ობოლ ქეთო ბერძენოვს—10 მ., 8) უძლურ გიორგი დიმიტრაძეს ცოლით—15 მანეთი; 9) გიორგი ბუმშიევს—10 მ., 10) სონა წაწუნაშვილს 10 მ. და—სდ 110 მანეთი და კასაში დარჩა 30 მანეთი.

გამომცემელი „ახალ სიტყვის“ სარედაქციო კოლლეგიის რწმუნებული დეკ. **ქრ. ციცქიშვილი.**

თბილისი, სტამბა „სორაპანი“.